ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში (ENIGMMA-2)

განხორციელების ვადა: 29.04.2016 - 29.04.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 4 300 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
The International Center For Migration Policy Development

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/ICMPDinGeorgia/

პროექტის ვებსაიტები: enigmma.ge/about/

პროექტის აღწერა:

პროექტი „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“ (ENIGMMA 2) დაფინანსებულია საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების ფარგლებში. ამ შეთანხმებას ხელი 2017 წლის მაისში მოეწერა, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) 2016 წლის ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის II პროგრამის ფარგლებში. პროექტი ძირითადად ეფუძნება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) საქმიანობას საქართველოში, მათ შორის, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტს „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA), რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობას ევროკავშირთან მიმდინარე სავიზო დიალოგის ფარგლებში მიგრაციასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებაში.

პროექტი ENIGMMA 2 განხორციელდება 2017 წლის სექტემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე, ICMPD-სა და საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (SCMI) მიერ.

მისი მიზანია, უფრო მეტად შეუწყოს ხელი საქართველო-ევროკავშირს შორის მობილობის გაზრდასა და ხალხთა შორის კავშირების გაძლიერებას. ეს მიზნები მიიღწევა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული იდენტიფიცირებული თუ პოტენციური რისკების შემცირებით და ვიზალიბერალიზაციის დადებითი ასპექტების გაძლიერებით როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. პროექტი გააგრძელებს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას მიგრაციის სტრატეგიის განხორციელებაში, ასევე, მისი გავლენის მონიტორინგსა და შეფასებაში.

მოსალოდნელი შედეგები:

- განხორციელებული მიგრაციის სტრატეგია;
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება სავიზო ლიბერალიზაციის ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების კუთხით;
- საქართველოში მიგრაციის მართვაზე მიგრაციის სტრატეგიის გავლენის ანალიზი და შეფასება;
- მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიის შემუშავება და განხორციელება რომელიც მიმართულია ლეგალური მიგრაციისა და დასაქმების შესაძლებლობებზე და ასევე ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირებას არარეგულარული მიგრაციის რისკების შესახებ (1 კომპონენტის შედეგეის გათვალისწინებით);
- კავშირის დამყარება ევროკავშირის წევრი ქვეყნების იმ სახელმწიფო უწყებებთან რომლებიც მიგრაციის საკითხებზე არიან პასუხისმგებელი და თანამშრომლობის გაღრმავება;
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება მიგრაციის რისკების ანალიზის მიმართულებით;
- ლეგალური მიგრაციისა და ევროკავშირში ლეგალურად დასაქმების პოპულარიზაცია;
- ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მიგრაციის განათლებისა და კვლევის საკითხებზე;
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩოსა და მიგრაციის სტრატეგიის განსაზღვრული საკითხების მიმართულებით;